# ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №12 - ში ,,საქანელას“ პროექტის, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მომიჯნავედ არსებული შენობების ფიზიკური (კონსტრუქციული) მდგომარეობის

## საექსპერტო დასკვნა

## კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №12 - ში ,,საქანელას“ პროექტის, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მომიჯნავედ არსებული შენობების ფიზიკური (კონსტრუქციული) მდგომარეობის შეფასება.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა - 45კგძ/მ$^2$; თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50კგძ/მ$^2$.

ადგილზე ვიზუალური დათვალიერება - გამოკვლევამ გვიჩვენა არსებული შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა, ს/კ. 01. 15. 04. 004. 045. ძირითადი ნაგებობის სართულიანობა სამი სართული, სახურავის გადახურვა ხის კონსტრუქციები, თუნუქის ბურულით **(სურ. №1.).**

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებულია, მზიდი კედლების აგურის წყობა. ყოფილი ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური.

საძირკვლის ტიპად წარმოდგენილია რკინაბეტონის ლენტური საძირკველი, რომელიც ჩაღრმავების მიხედვით განლაგებულია ერთ დონეზე. მზიდი კედლები ამოშენებულია აგურის წყობით.

ამჟამად შენობა არ ფუნქციონირებს. შენობაზე შესაძლებელია რეკონსტრუქცია და დემონტაჟიც.

ყოფილი ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის შენობაზე მიდგმულია ოთხსართულიანი შენობა, რომელიც გამოყოფილია

სადეფორმაციო ნაკერით ს/კ. 01. 15. 04. 004. 049. გვერდზე ერთსართულიანი მოქმედი ფარმადეპოს აფთიაქია და გააჩნია საქმიანი ეზო ს/კ. 01. 15. 04. 004. 048.



სურ. №1.



სურ. №2.




სურ. №3.



სურ. №4.

აფთიაქის შენობა საპროექტო შენობის კონტურიდან, უმოკლესი მანძილით დაშორებულია 3,35 მეტრით. შენობები კონსტრუქციულად კარგ

მდგომარეობაშია, არ გააჩნია ჯდენითი და რღვევითი ბზარები **(სურ. №2; სურ. №3. და სურ. №4.).**

ბენზინგასამართი ,, ვისოლის“ სადგური ს/კ. 01. 15. 04. 003. 008. კონსტრუქციულად კარგ მდგომარეობაშია (**სურ. №5.**) და საპროექტო ნაგებობის კონტურიდან უმოკლესი მანძილით დაშორებულია 21,00 მეტრით.




**სურ. №5.**

შენობა ს/კ. 01. 15. 04. 003. 001. და ს/კ. 01. 15. 04. 003. 010. ერთსართულიანი და ორსართულიანია. პირველი და მეორე სართულის შუშაბანდის ხის კონსტრუქციები დამპალია და განიცდიან ლპობას **(სურ. №6 და სურ. №7.).**

ღობის ბლოკის კედლები გადახრილია (დაბრეცილია) განიცდის ჯდენას. მეორე სართულის ხის კიბე კონსტრუქციულად მწყობრიდანაა გამოსული და მთლიანად განიცდის ლპობას. აშენებული კედლის ნახევარი ბლოკის წყობა გაულესავია, მოუვლელობისაგან იშლება, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების შედეგად განაგრძობს დაშლას **(სურ. №8).**

პირველი სართულის სარდაფის გადახურვა და ხის კონსტრუქციები დაძრულია (განიცდის ლპობას) **(სურ. №8 და სურ. №9.).**

მეორე სართულის აივნის ლითონის კონსტრუქციებს ჟანგი აქვს მოდებული და განიცდიან კოროზიას. მოპირკეთებისა და კედლის ნალესი ნაწილობრივ ჩამოცვენილია და ჩანს აგურის წყობები, მეორე სართულის მარცხენა მხარეს ამოსულია ხის მცენარეული საფარი. **(სურ. №9).**



**სურ. №6.**



სურ. №7.



სურ. №8.



სურ. №9.



სურ. №10.



**სურ. №11.**

ნაგებობის უკანა მხარეს, კედლები დაშლილია, სახურავის ხის კონსტრუქციები განაგრძობს ლპობას **(სურ. №10).**

შენობის ნახევარზე მეტ ფართობზე პირველი, მეორე სართულის გადახურვის იატაკი, სახურავის გადახურვისა და ოთახის კედლები დაშლილია. დარჩენილია გარე კედლების აგურის წყობა, რომელიც განაგრძობს დაშლას. მეორე სართულის კედლებზე ამოსულია ხის მცენარეული საფარი **(სურ. №11).**

შენობა ს/კ. 01. 15. 04. 003. 001. და ს/კ. 01. 15. 04. 003. 010. ერთსართულიანი და ორსართულიანი დაზიანებათა ინტენსიურობის კლასიფიკაციის მიხედვით აღენიშნება III ხარისხის (კატეგორიის) დაზიანება. ბზარები და ნაპრალები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზთა ერთობლიობით. ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით. ფუძე - გრუნტების ჯდენითი დეფორმაციებით და ასევე ასაკობრივი ცვეთით. III ხარისხის დაზიანებული შენობის საექსპლუატაციო მედეგობა ძლიერ დაქვეითებულია.

ელბაქიძის დაღმართ - აღმართთან არსებული ორი შენობა ს/კ. 01. 15. 04. 003. 005. დანგრეულია და აუცილებელია დემონტაჟი **(სურ. №12).**



სურ. №12.



სურ. №13.




**სურ. №14.**

სატრანსფორმატორო ს/კ. 01. 15. 04. 003. 013. მოუვლელობისაგან ნალესები ჩამოცვენილია და განიცდის დაშლას **(სურ. №13 და სურ. №14.).**

ნაგებობა ს/კ. 01. 15. 04. 003. 042. აღარ არსებობს. შენობის ს/კ. 01. 15. 04. 003. 045. დარჩენილია ნანგრევები.



**სურ. №15.**



**სურ. №16.**

ნაგებობა გეგმაში ს/კ. 01. 15. 04. 003. 044. რთული მოხაზულობისაა. ფასადის მხრიდან ორსართულიანია და უკანა მხრიდან ერთსართულიანი. ფასადის შენობის მონოლითური რკინაბეტონის პლატფორმა ნაწილობრივ დაშლილია, ჩანს არმატურისა და ლითონის ჩანართები. მარჯვენა მხარეს პირველ ფანჯარასთან არსებობს მრუდე მოხაზულობის ბზარი, რომელის ჩამოდის პირველი სართულის ლითონის კარის ზედა დონემდე **(სურ. №15).**

შენობა აშენებულია სილიკატური და წითელი აგურის შერეული წყობით. რაც ჩანს გაულესავ კედელზე და მთელ სიმაღლეზე ამოსულია მცენარეული (სუროს) საფარი **(სურ. №16).** რომელიც აზიანებს მზიდ კედლებს.

ნაგებობა გეგმაში ს/კ. 01. 15. 04. 003. 006. რთული მოხაზულობისაა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, მარჯვენა სანაპიროს ეზოსა და მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის №21 ფასადის მხრიდან დღევანდელი მდგომარეობით აქვს სახე **(სურ. №17., და სურ. №18.).** იგი აშენებულია რუსული აგურის წყობით, ადგილობრივი წყალში გახსნილი მიწის (ალიზის) გამოყენებით. სანაპიროს ეზოს მხრიდან ხუთსართულიანია, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის №21 მხრიდან სამსართულიანია **(სურ. №17., და სურ. №18.).** მარჯვენა მხარეს კედელთან მოწყობილია მიწის დახრილი ბერმა, ბერმის ზემოთ აგურის წყობის კედლის სიგრძეზე დაახლოებით 1,5 მეტრ სიმაღლეზე მიუყვება სინესტე.

საძირკვლის მიმდებარედ ნაგებობები დაშლილია **(სურ. №19).** ნახევრად შენარჩუნებულია ტორსულ მხარეს ყორე ქვით ნაშენები კედელი, რუსული აგურის ჩანართებით.

მეორე; მესამე; მეოთხე და მეხუთე სართულის (გადახურვის) ჭერში სახლის გასამაგრებლად კედლის ჰორიზონტალურად მთელ კონტურზე მოწყობილია ლითონის მჭიმები.

აივნის ხის კონსტრუქციები, ატმოსფერული ზემოქმედების შედეგად დამპალია და განიცდის ლპობას, აგურის წყობას მიუყვება ვერტიკალური ზიგზაგი ბზარი, ფანჯრის უჯრედთან **(სურ. №19).**

აივნის ლითონის კონსტრუქციები განიცდიან და განაგრძობენ კოროზიას **(სურ. №20).**

ფასადის მხრიდან მარჯვენა კედელს ფანჯარასთან მიყვება ვერტიკალური ბზარი **(სურ. №21).**

მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის №21 ფასადის მხრიდან მარცხენა მხარესაც კედელს ფანჯარასთან მიუყვება ვერტიკალური და დაახლოებით $45^0$ გრადუსიანი დახრილი ბზარი **(სურ. №22).**

ქ. თბილისში, სანაპიროს ქუჩა №12 ს/კ. 01. 15. 04. 003. 006. მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ხუთსართულიანი შენობა დაზიანებათა ინტენსიურობის კლასიფიკაციის მიხედვით აღენიშნება II - III ხარისხის (კატეგორიის) დაზიანება. ბზარები და ნაპრალები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზთა ერთობლიობით. ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით. ფუძე - გრუნტების ჯდენითი დეფორმაციებითა და ასევე ასაკობრივი ცვეთით. ადრე არსებული ქვაფენილზე მოძრავი მძიმე ტექნიკის შემადგენლობისაგან გამოწვეული დინამიკური დატვირთვებით. II - III ხარისხის დაზიანებული შენობის საექსპლუატაციო მედეგობა საგრძნობლად დაქვეითებულია. საცხოვრებელი ნაწილი საფრთხის შემცველია, ნგრევისა და ჩამოცვენის მოვლენები მოსალოდნელია. მისი რეაბილიტაციისათვის საჭირო იქნება შედგენილი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით მოხდეს აღდგენა - გაძლიერება (რეკონსტრუქცია).



სურ. №17.



სურ. №18.



სურ. №19.



სურ. №20.



სურ. №21.



სურ. №22.



სურ. №23.



სურ. №24.

ქ. თბილისში, სანაპიროს ქუჩა №12 ს/კ. 01. 15. 04. 003. 024. ნაგებობები არ არსებობს, დარჩენილია ნანგრევები და მის თავზე მიწაყრილები **(სურ. №23.)**.

ყოფილი შემოღობილი საქმიანი ეზოს დაცვის ჯიხური და არსებული ოთხი ერთსართულიანი დროებითი ნაგებობა, შესაძლებელია დაიშალოს ან მომავალი ,,საქანელას“ პროექტის პერსპექტიული მშენებლობის პერიოდში რეკონსტრუქცია ჩაუტარდეს და გამოყენებული იქნას ისევ, როგორც დროებითი ნაგებობა **(სურ. №24.)**.

სანაპიროს ქუჩა №12 - ის ტერიტორიაზე მდებარეობს მეტროს გვირაბის მისასვლელი. ქალაქის განვითარების, მშენებლობის პერსპექტივისათვის მეტროპოლიტენის სადგურს შევუნარჩუნოთ დღევანდელი მდგომარეობა **(სურ. №25.)**. საყრდენ კედელს შორის არსებობს ფოლადრკინაბეტონის გადასასვლელი ხიდი **(სურ. №26.)**.

ქ. თბილისში, სანაპიროს ქუჩა №12 - ის ტერიტორიაზე საავტომობილო გზის ნაპირას ს/კ. 01. 15. 04. 003. 014. არის მონოლითური რკინაბეტონის კარკასული მშენებარე მრავალსართულიანი ნაგებობა, რომლის მშენებლობა დღესაც მიმდინარეობს **(სურ. №27.)**.



**სურ. №25.**



სურ. №26.



სურ. №26.

ადგილზე ვიზუალური დათვალიერება - გამოკვლევის შედეგად **ექსპერტს აქვს შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები;**

1. ყოფილი ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური ს/კ. 01. 15. 04. 004. 045. ,, საქანელას“ პროექტის კონტურიდან უმოკლესი მანძილით დაშორებულია 21,80 მეტრით. მშენებლობის პერიოდში არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს მის კონსტრუქციულ მზიდუნარიანობაზე და მდგრადიბაზე.
2. აფთიაქის შენობა საპროექტო შენობის კონტურიდან, უმოკლესი მანძილით დაშორებულია 3,35 მეტრით. მშენებლობის პერიოდში არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს მის კონსტრუქციულ მზიდუნარიანობაზე და მდგრადიბაზე.
3. ბენზინგასამართი ,, ვისოლის“ სადგური ს/კ. 01. 15. 04. 003. 008. კონსტრუქციულად კარგ მდგომარეობაშია და საპროექტო ნაგებობის კონტურიდან უმოკლესი მანძილით დაშორებულია 21,00 მეტრით. მშენებლობის პერიოდში არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს მის კონსტრუქციულ მზიდუნარიანობაზე და მდგრადიბაზე.
4. შენობა ს/კ. 01. 15. 04. 003. 001. და ს/კ. 01. 15. 04. 003. 010. ერთსართულიანი და ორსართულიანი, საპროექტო ნაგებობის კონტურიდან უმოკლესი მანძილით დაშორებულია 6,80 მეტრით. მშენებლობის პერიოდში არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს მის კონსტრუქციულ მზიდუნარიანობაზე და მდგრადიბაზე.
5. სატრანსფორმატორო ს/კ. 01. 15. 04. 003. 013. მოუვლელობისაგან ნალესები ჩამოცვენილია და განიცდის დაშლას, საჭიროა მისი რეკონსტრუქცია ან ,,თელასი“ - თან შეთანხმებით გაკეთდეს ადგილმონაცვლეობა და დამონტაჟდეს შერჩეული ტერიტორიის სასურველ ადგილას.
6. ქ. თბილისში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა №21, სანაპიროს ქუჩა №12 - ის ტერიტორიაზე არსებული ს/კ. 01. 15. 04. 003. 006. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ხუთსართულიანი შენობა, დაზიანებათა ინტენსიურობის კლასიფიკაციის მიხედვით აღენიშნება II - III ხარისხის (კატეგორიის) დაზიანება. საპროექტო ნაგებობის

კონტურიდან, უმოკლესი მანძილით დაშორებულია 3,63 მეტრით. მისი რეაბილიტაციისათვის საჭირო იქნება შედგენილი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით მოხდეს აღდგენა - გაძლიერება (რეკონსტრუქცია). ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ, მშენებლობის პერიოდში არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს მის კონსტრუქციულ მზიდუნარიანობაზე და მდგრადიბაზე.

7. ნაგებობა ს/კ. 01. 15. 04. 003. 044. შესაძლებელია მისი დემონტაჟი.
8. არსებული შენობების ნანგრევები გასუფთავდეს და სამშენებლო ნარჩენები გატანილი იქნას ნაგავსაყრელზე.
9. სანაპიროს ქუჩა №12 - ის ტერიტორიაზე მდებარეობს მეტროს გვირაბის სავენტილაციო მისასვლელი. ქ. თბილისის მეტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ,,საქანელას“ პროექტთან მიმართებაში განისაზღვროს სავენტილაციო მისასვლელის ოპტიმალური მანძილი. საპროექტო ნაგებობის კონტურიდან, უმოკლესი მანძილით დაშორებულია 26,04 მეტრით. მშენებლობის პერიოდში არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს მის კონსტრუქციულ მზიდუნარიანობაზე და მდგრადიბაზე.
10. ლითონის ხიდის საექსპლუატაციოდ გამოუყენებლობის შემთხვევაში დასაშვებია მისი დემონტაჟი.
11. **სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.**

**ამ დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით**

სანაპიროს ქუჩა №12 - ის ,,საქანელას“ პროექტის, საპროექტო ტერიტორიაზე, პროექტირებასა და მშენებლობას ეძლევა დადებითი შეფასება.

**დამოუკ. ექსპერტი,**
**საინჟ. მეცნ. დოქტორი:**
**მობ. 593 28 34 58**

**ჯ. ვაშაკიძე**
**3/12/2019**

# ავტობიოგრაფია



**გვარი:** ვაშაკიძე

**სახელი:** ჯუმბერ

**მამის სახელი:** აბესალომის-ძე

**დაბადების თარიღი:** 31 ივლისი, 1963 წელი

**დაბადების ადგილი:** თბილისი, საქართველო

**ეროვნება:** ქართველი

**მოქალაქეობა:** საქართველოს

**ოჯახური მდგომარეობა:** დაოჯახებული, ყავს მეუღლე და ორი შვილი

**მუდმივი მისამართი:** საქართველო, თბილისი, კრწანისის ქუჩა #53

**ტელეფონი:** +995-32-2-72-06-34 (**სახლი**)

+995-93-28-34-58 (**მობილური**)

**ელექტრონული ფოსტა:** vashakidze.jumber@gmail.com

**ენები:** ქართული (**მშობლიური ენა**), რუსული, გერმანული (**დამაკმაყოფილებლად**)

**პროგრამები:** Microsoft Windows 98/2000/XP/Vista/7, Microsoft Office 2003/2007, Lira 9,4 - 9.6, AutoCAD 2006-2011

Curriculum Vitae

## განათლება და სამეცნიერო ხარისხი

**1981 – 1986** ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სატრანსპორტო ფაკულტეტის სტუდენტი

**1986** დიპლომი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია (**ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები**), წარჩინებით, ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი

**2008** მიენიჭა საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**თემა:** „არაწრიული მოხაზულობის სამაგრის გაანგარიშება სატრანსპორტო გვირაბების აგების ტექნოლოგიის გათვალისწინებით“.

Curriculum Vitae

## სამუშაო გამოცდილება

| | |
|---|---|
| **1986** | **„თბილ. ზნიეპი“** |
| | ინჟინერი |
| **1987** | **„თბილგვირაბმშენი“** |
| | კონსტრუქტორი |
| **1987 - 1988** | **„თბილგვირაბმშენი“** |
| | საბურთალოს ხაზზე მეტროპოლიტენის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი |
| **1988 – 2007** | **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა** |
| | კონსტრუქტორი, ლაბორანტი, ლაბორატორიის გამგე |
| **1988** | **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა** |
| | ქ. სენაკში მდ. ტეხურაზე არსებული საავტომობილო ხიდის რეკონსტრუქცია გაფართოება, მეცნიერ-თანამშრომელი |
| **1988** | **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა** |
| | საავტომობილო ხიდი ჩხოროწყუს რაიონში, მეცნიერ-თანამშრომელი |
| **1988** | **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა** |
| | ქ. ზესტაფონში საყრდენი კედლები, მეცნიერ-თანამშრომელი |
| **1989** | **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა** |
| | ქ. ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და მასთან მდებარე სარკინიგზო ხიდის რეკონსტრუქცია, მეცნიერ-თანამშრომელი |

Curriculum Vitae

**1989** **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა**

ქ. ქუთაისში მდ. რიონზე მაგისტრალური გაზსადენების საჰაერო გადაკვეთები და ფასანაურის მიმდებარე ტერიტორიაზე, წყალგამტარი მილები. მდ არაგვზე ლითონის ხიდი, მეცნიერ-თანამშრომელი

**1990 - 1992** **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა**

საავტომობილო ხიდი სოფ. ბერბუკში, სოფ. სვენეთში, სოფ. ახალსოფელში და სოფ. კარდენახში, ქ. ქუთაისში საავტომობილო ხიდი და სხვა მცირე ხიდები, მეცნიერ-თანამშრომელი

**1996** **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა**

ქ. თბილისში საგარეო საქმეთა სამინისტროს საძირკვლის გამოკვლევა გაძლიერება, მეცნიერ-თანამშრომელი

**1996** **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა**

ქ. თბილისში ბუდაპეშტის ქუჩაზე კერძო სამედიცინო ინსტიტუტეს წიბოვანი გადახურვის ფილის, ოთხი სართულის დაშენებისათვის რიგელებისა და კონსოლების დაპროექტება-გაძლიერება, მეცნიერ-თანამშრომელი

**1997** **„ქ. თბილისის მერიასთან არსებული კეთილმოწყობის სამმართველო“**

ქ. თბილისის მერიასთან არსებილი კეთილმოწყობის სამმართველოში, ”ხიდები და გვირაბების მოვლა პატრონობის საწარმო”-ს უბნის უფროსი.

ქ. თბილისში მეტეხის საავტომობილო გვირაბის გამოკვლევა, უბნის უფროსი

Curriculum Vitae

**2000 – 2001** **„მსოფლიო ფონდი“**

კოდორის ხეობაში 150მ. საქვეითო კიდული ხიდი სოფ. ჩხალთაში მდ. კოდორზე და საავტომობილო 20მ. ფოლადის ხიდი სოფ. პტიშში მდ. პტიშზე. კიდული და საავტომობილო ხიდის პროექტირება მშენებლობა.

მთავარი ინჟინერი

**2002** **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა**

ქ. თბილისში რკინიგზის სადგურის პანდუსის გამოცდა-გაანგარიშება, მეცნიერ-თანამშრომელი

**2006** შ.პ.ს. **„ლიბო+“**

ქ. თბილისში კრწანისი პალასის საავტომობილო პანდუსის პროექტის ავტორი

**2006** შ.პ.ს. **„კიდ-არქიტექტურა“**

„ვილა ბაკურიანი“ და ბაკურიანში სასტუმროს რეკონსტრუქცია, კონსტრუქტორი

**2006** საპროექტო-სამშენებლო კომპანია **„იმპულსი“**

პროფ. თოდუას სახელობის სამედიცინო-რადიოლოგიის ინსტიტუტის დაპროექტება, პროექტის ავტორი და მთავარი კონსტრუქტორი

**2006** **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ხიდებისა და გვირაბების კათედრა**

სამტრედიის რ-ს სოფ. საჯავახოში მდ. რიონზე სარკინიგზო ხიდი, მეცნიერ-თანამშრომელი

**2006** შ.პ.ს. **„ტრანსპორტი“**

„ბი-პი“-ს პროგრამით მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს მასშტაბით ხიდების გამოკვლევა-გამოცდაში

Curriculum Vitae

**2006** შ.პ.ს. „**ტრანსპორტი**“

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის ს/გ 108-ე, 114-ე, 115-ე, 146-ე კილომეტრებზე მიწის ვაკისის აღდგენის პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები. წყალგამტარი მილები, სოფ. რუხში მდ. რუხზე

**2007** შ.პ.ს. „**ტრანსპორტი**“

ქ. თბილისში სანიაღვრე ქსელების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტზე კახეთის ხევში ექსპერტიზა

**2007** შ.პ.ს. „**აქსისი**“ დეველოპმენტი

რიყის გვირაბის პროექტის ავტორი

**2007** შ.პ.ს. „**იმპულსი**“

I (არამიანცის) სავადმყოფოს მიმდებარე ტერიტოტიაზე მიწისქვეშა ნაგებობის ნეიროქირურგიული ცენტრის რადიოლოგიური განყოფილების პროექტის ავტორი, მთავარი კონსტრუქტორი

**2007** შ.პ.ს. „**იმპულსი**“

ახალი ტუბდისპანსერის გამოკვლევა-ექსპერტიზა, ჯგუფის ხელმძღვანელი

**2008** შ.პ.ს. „**იმპულსი**“

ქ. ქობულეთში სამი საბავშვო ბაღის გამოკვლევა-ექსპერტიზა, ჯგუფის ხელმძღვანელი

**2008** შ.პ.ს. „**იმპულსი**“

ქ. ქობულეთის რაიონის სოფ. ხალაში არსებული 55.55მ. კიდული ხიდის ექსპერტიზა-რეკონსტრუქციის პროექტის ავტორი, მთავარი კონსტრუქტორი

**2008** შ.პ.ს. „**ხიბლი**“

"ჰაიდენბერგის" ბეტონის ქარხნის საძირკვლებისა და საოფისე ნაგებობის პროექტის მთავარი კონსტრუქტორი

Curriculum Vitae

**2007 – 2009** შ.პ.ს. „**უჩგენ ჯორჯია**“

სასტუმრო "ივერია"-ს მშენებლობის მთავარი ინჟინერი

**2007 – 2009** შ.პ.ს. „**უჩგენ ჯორჯია**“

სასტუმრო ,,ივერია”-ს ცალკეული კონსტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება. კერძოდ; სახანძრო კიბეები რიგელების გაძლიერება, მე-11 სართულზე ლითონის გადახურვის კონსტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება, საძირკვლის 800 მმ-იანი ხიმინჯის გაანგარიშება და დაპროექტება, 0,00 ნიშნულზე 3 მეტრიანი რკინაბეტონის ფილის კონსოლის გაანგარიშება-დაპროექტება, საყრდენი კედლების გაანგარიშება-დაპროექტება, პანორამული ლიფტის ფასადის ლითონის კონსტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება, რადისონის წარწერის დამაგრებისათვის ლითონის კონტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება, შეკიდული ჭერების კონსტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება

**2009 – 2010** „**თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდი**“

რიყის გვირაბის პროექტის მშენებლობის საავტორო ზედამხედველი, ბუდა ბარის, ბარათაშვილის აღმართის პანდუსის გამაგრების, შადრევნისა და სამეთვალყურო შენობის, ამფითეატრის, რიყის პარკიდან ბარათაშვილის აღმართზე ამავალი კიბისა და ტურისტული გადმოსახედის კონსტრუქციების პროექტის ავტორი, კონსტრუქტორი

რიყის საბაგიროს მიმდებარე ტერიტორიაზე დაპროექტებული მიწისქვეშა (330 ადილი მსუბუქი მანქანისათვის) ავტოსადგომის კონსტრუქციების პროექტის ავტორი და მთავარი კონსტრუქტორი

**01/08/2009 –** „**თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდი**“

**30/12/2010** საავტორო პროექტისა და მშენებლობის ზედამხედველი

Curriculum Vitae

**01/08/2011 –** **„თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდი“**

**30/09/2012** მიწისქვეშა ავტოსადგომის კონსტრუქციების მშენებლობის საავტორო ზედამხედველი.

თბილისის ზღვის ტერიტორიაზე საკომუნიკაციო 60 მეტრიანი გვირაბისა და 22 მეტრიანი ფოლადრკინაბეტონის ხიდის კონსტრუქციების პროექტის ავტორი (მთავარი კონსტრუქტორი)

**2012** **შ. პ. ს. „ჯეოსტილი“**

ქ. რუსთავში საავტომობილო ესტაკადის ფოლად-რკინაბეტონის ხიდის საექსპერტო დასკვნა

**2012** **არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტთან არსებული „არქცენტრი“**

ქ. თბილისში დ. უზნაძის №28 და ვ. ვაჩნაძის №17-ში შენობის დემონტაჟის საექსპერტო დასკვნა

**2012** **შ. პ. ს. „ნეო-ა“**
ქ. თბილისში მუსკომედიის შენობის საექსპერტო დასკვნა

**10/04/2014** **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**

სოფ. შუა ხორგაში V კატეგორიის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი საექსპერტო დასკვნა.

**2013 - 2015** **შპს „გეომეფი“** - მთავარი ინჟინერი.

დაპროექტებული მაქვს 4 ფოლადრკინაბეტონის საავტომობილო ხიდი.

ხობის რაიონ, სოფ. II გურიფულში განსაკუთრებულ მნიშვნელობის ობიექტის ნაპირდამცავის ქვაყრილის პროექტის ავტორი.

ქალაქ კასპში, ორმალიანი 36 მ.-იანი რკინაბეტონის საავტომობილო ხიდი.

მესტიის რაიონში 4 საავტომობილო ხიდის პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

Curriculum Vitae

**2015** **შპს „საქგზამეცნიერება“**

ლენტეხის რაიონში 4 ფოლადრკინაბეტონის საავტომობილო ხიდი. პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

**2015** **შპს „საქგზამეცნიერება“**

თბილისში, ახალ გზაზე, გ. კარტოზიას ქუჩაზე 18 მ. და 48 მ.-იანი ფოლადრკინაბეტონის საავტომობილო ხიდი-ესტაკადის პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

**2015** **შპს „საუკი“ და შპს „აბრისი“**

დუშეთის რაიონში 7 საავტომობილო და სარეაბილიტაციო ხიდების

პროექტის ავტორი და მთავარი ინჟინერი.

**2015/ 11 სექტ.** **შპს „ჯეი ბილდინგ გრუპი“-ს** დამფუძნებელი და დირექტორი

**2016** **შპს „საქგზამეცნიერება“**

ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო მაგისტრალის გადამკვეთი 2 ესტაკადის (64 მ.-იანი) პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

**2016** **შპს „ჯეი ბილდინგ გრუპი“ (LTD “J Building Group”)**

**დამკვეთი შ. პ. ს. „ელიტა ბურჯი“** ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე 72 მეტრიანი ფოლადის ჩარჩოვანი სისტემის ესტაკადის კონსტრუქციის პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

**2016** **შპს „ჯეი ბილდინგ გრუპი“ (LTD “J Building Group”)**

**დამკვეთი შ. პ. ს. „ელიტა ბურჯი“** ურეკში, სფეროს ფორმის რთული კონფიგურაციის მქონე ნაგებობის, ბავშვთა გასართობი ცენტრის, კონსტრუქციის პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

Curriculum Vitae

**2017** **შ. პ. ს. „ნეო-ა“**
ქ. თბილისში პ. ქავთარაძის ქუჩა № 58, მრავალბინიანი 19 სართულიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციის პროექტის ავტორი, კონსტრუქტორი

**2017** **შპს „ჯეი ბილდინგ გრუპი“ (LTD “J Building Group”)**

**დამკვეთი შ. პ. ს. „ელიტა ბურჯი“** ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა მშრალ ხევზე, სოფელ ყანობთან, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა - სტეფანწმინდა -ლარსის საავტომობილო გზის 113 - ე კილომეტრზე. ლითონის უჭრი კოჭის 28x36x28 მეტრის პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

**2017** **შპს „ჯეი ბილდინგ გრუპი“ (LTD “J Building Group”)**

**დამკვეთი შ. პ. ს. „ენსისი“** შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზესტაფონი - ბაღდათის საავტომობილო გზის მე - 3 კილომეტრზე მდინარე ყვირილაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა. 5 მალიანი ჭრილკოჭოვანი რკინაბეტონის ხიდი, სულ 172,30 მეტრი. პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

**2017** **შპს „სტუდია 21“**

დედაენისა და 9 მარტის ბაღის რეაბილიტაციის პროექტი (მათ შორის დამაკავშირებელი მიწისქვეშა საქვეითო მონოლითური რკინაბეტონის გვირაბი), პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

**2018** **შპს „საქგზამეცნიერება“**

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მარშალ გელოვანის ქუჩისა და

პ. სარაჯიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, ორდონიანი კვანძის მოწყობა (კორექტირებული პროექტი 249 მეტრის ესტაკადა). პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

**2018** **შპს „გზაჯვარედინი ოცდამეერთე“–ს**

ქ. თბილისი, მშრალი ხიდისა და საარბრიუკენის ხიდის რეაბილიტაციის პროექტის მომზადების, ვიზუალური გამოკვლევა, დეფექტური აქტები, ექსპერტიზა, ექსპერტი

Curriculum Vitae

**2018** **საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

სნო - ჯუთა - რომკა - შატილი - ომალო - ხადორის ხეობა - ბაწარა - ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა - რეკონსტრუქციის განსახორციელებლად ალტერნატიული მიმართულების ანალიზისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება ნაწილი 01, 02 პატარა - ბორბალო - შატილის მონაკვეთი (ფოლადრკინაბეტონის ხიდები, 32 და 24 მეტრიანი მალის ნაშენით) პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

**2018** **შპს „ინჟარქიტექტი“**

გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროექტის, შენობა - ნაგებობის კონსტრუქციული ნაწილისა და არსებული შენობა - ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობის საექსპერტო დასკვნა, ექსპერტი

**2019** **შპს „როიალ არტ ჯგუფი“**

ატენის სიონის მიმდებარედ ლითონის პანდუსუს, ავტოსადგომისა და სხვა კონსტრუქციების პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

**2019** **შპს „XG“**

ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, მრავალფუნქციური (12 სართულიანი) კომპლექსი/შენობა. კონსტრუქციის პროექტის ავტორი, კონსტრუქტორი

**2019** **შპს „როიალ არტ ჯგუფი“**

ქ. გორი, გორის მუნიციპალიტეტში, ახალბაღის დეკორატიული ტბისა და შემყვანი არხის; ბაქანის; ამფითეატრის; ავტოდრომის; ველოსიპედის ხიდების; ტუალეტისა და სტეიკ ტრეკის რეკონსტრუქციის პროექტის ავტორი და კონსტრუქტორი.

Curriculum Vitae

## გამოქვეყნებული შრომები

მაქვს გამოქვეყნებული **8** სამეცნიერო ნაშრომი, მონაწილე ვარ კონფერენციებისა და პრაქტიკული სემინარების

### ნაშრომთა სია

| # | დასახელება | ხელნაწერის ტიპი | გამომცემლობა | გვერდები | თანაავტორნი |
|---|---|---|---|---|---|
| **1** | მიწისქვეშა სივრცის ათვისების პერსპექტივა. | ბეჭდური | „სტუ შრომები“ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომები, შრომის დაცვაში, ეკოლოგიაში, სამთო საქმესა და გეოლოგიაში # 2 (426), თბილისი, 2000 წ. (რუსულ ენაზე) | 16 - 19 | დ. პაპელიშვილი, კ. ჭურაძე, ჯ. ვაშაკიძე, ა. პონომარიოვი |
| **2** | წყვეტილი გეომეტრიული პარამეტრების მქონე თაღოვანი კონსტრუქციების გაანგარიშება. | ბეჭდური | საშენი მასალები და ნაკეთობები, თბილისი: 2000 წ. # 1,2. გვ. 7-11 | 7 - 11 | ვ. თარხნიშვილი, ჯ. ვაშაკიძე |
| **3** | კომპლექსური პოლინომების მეთოდის გამოყენება არაწრფივი მოხაზულობის გვირაბების სამაგრების გაანგარიშებაში. | ბეჭდური | „საერთაშორისო სიმპოზიუმი თხელკედლიანი სივრცითი სისტემების პრობლემებზე“. შრომები-თბილისი: 4-5 ივლისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი.“ 2001 წელი | 37 - 40 | ვ. თარხნიშვილი, ჯ. ვაშაკიძე, ა. პონომარიოვი |
| **4** | მიწისქვეშა ნაგებობების გაანგარიშება. | ბეჭდური | „სტუ შრომები“ # 3 (449) - თბილისი: „ტექნიკური უნივერსიტეტი.“ 2003 წელი | 124 - 126 | ვ. თარხნიშვილი, ჯ. ვაშაკიძე, თ. ანთაძე, ნ. კვაჭაძე |
| **5** | მიწისქვეშა გამონამუშევრის ქანების დრეკადი უკუბრჯენის კოეფიციენტის განსაზღვრა. | ბეჭდური | სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, „სტუ“ 80 წლისთავისადმი მიძღვნილი. თბილისი: 2002 წელი | 150 - 151 | ჯ. ვაშაკიძე, გ. მისაბიშვილი, თ. ცვარიანი |
| **6** | მიწისქვეშა ნაგებობების | ბეჭდური | რესპუბლიკური ღია სამეცნიერო | 13 - 14 | ვ. თარხნიშვილი, ჯ. ვაშაკიძე, |

Curriculum Vitae

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | გაანგარიშების შესახებ. | | კონფერენცია „მშენებლობა და ოცდამეერთე საუკუნე“ მოხსენებათა თეზისები, 24-25 მაისი. „სტუ“, თბილისი: 2005 წელი | | გ. გუგუციძე |
| **7** | მიწისქვეშა ნაგებობების გაანგარიშების შესახებ. | ბეჭდური | სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის „მშენებლობა და XXI საუკუნე“ მოხსენებები. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2005 წელი, 24-25 მაისი. | 92 - 96 | ვ. თარხნიშვილი, ჯ. ვაშაკიძე, გ. გუგუციძე |
| **8** | არაწრიული მოხაზულობის გვირაბის სამაგრის გაანგარიშების მეთოდიკა გვირაბის გაყვანის ტექნოლოგიის გათვალისწინებით. | ბეჭდური | „ტრანსპორტი“, # 4, თბილისი, 2005 წელი | 55 - 57 | ჯ. ვაშაკიძე |

Curriculum Vitae

# დიპლომი

## წარჩინებით

ИВ № 258114

ეს დიპლომი მიეცა ჯუმბერ
აბესალომის ძე ვაშაკიძეს
მასზე, რომ იგი 1981 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1986 წელს დაამთავრა
დასახელებული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ხიდები და
გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1986 წ.
„ ... “ ... დადგენილებით
ჯ.ა. ვაშაკიძეს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 წ. „31“ XII

სარეგისტრაციო № 4879

# ДИПЛОМ

## С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 258114

Настоящий диплом выдан Вашакидзе
Джумберу Абесаломовичу
в том, что он в 1981 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1986 году окончил полный курс
названного
института
по специальности мосты и
тоннели

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „ ... “ июня 1986 г.
Вашакидзе Д.А.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

М. П.

Город Тбилиси „31“ XII 1986 г.

Регистрационный № 4879

Московская типография Гознака, 1981.

# GEORGIA

## TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

## PhD

# DIPLOMA

DO № 000353

By decision N 16 December 16, / 2008 /

of the Dissertation Board of the Faculty of

Transport and Mechanical Engineering

Mr. Jumber Vashakidze

was awarded PhD Degree in

Engineering Sciences

რეგისტრაციის № 00352
Registration

თბილისი
Tbilisi

22 რიცხვი/day 6 თვე/month 2010 წელი/year

# საქართველო

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## დოქტორის

# დიპლომი

DO № 000353

საგრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2008 წლის 16.12

№ 16 გადაწყვეტილებით

ჯუმბერ ვაშაკიძეს

მიენიჭა საინჟინრო მეცნიერებათა

დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დეკანი / ოთარ გელაშვილი /
Dean / Otar Gelashvili /

რექტორი / არჩილ ფრანგიშვილი /
Rector / Archil Prangishvili /

Sea